სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

---------------------- ნოე ქაშიბაძე

24 თებერვალი 2016 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 11/36

2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 1 იანვარი

## შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე....................................................................3

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.......................................................................................................................................6

ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები...........................................................................................................9

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდეგში „უმაღლესი საბჭო") ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ- ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, ფულადი გრანტების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5-1, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - ბალანსის დანართი ფორმა №6.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა**

უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე"საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი წარმომადგენლობის

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

*პირობითი მოსაზრების საფუძველი*

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არასწორად და უზუსტოდ ჰქონდა წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3 და ფორმა N5, კერძოდ:

*არაფინანსური აქტივების აღრიცხვა*

*ავტომანქანის ჩანაცვლება*

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გაირკვა, რომ უმაღლესი საბჭოს აპარატმა უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული 2005 წელს გამოშვებული მსუბუქი ავტომობილის „Subaru Legacy Outback" - ის (სახ. ნომერი: VIN-676 საბალანსო ღირებულება 10,496.00 ლარი) საბაზრო ღირებულების დაჩქარებული წესით დადგენის მიზნით 2015 წლის 30 აპრილის N181 წერილით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს (შემდეგში ექსპერტიზის ეროვნული ბიურო). ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ექსპერტის N002577315 დასკვნის საფუძველზე ავტომობილის საორიენტაციო საბაზრო ღირებულება 2015 წლის 06 მაისის მდგომარეობით განისაზღვრა 6,500.00 ლარის ოდენობით. უმაღლეს საბჭოსა და შპს „ავტო თრეიდ ინ"-ს შორის 2015 წლის 11 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის N27 ხელშეკრულებით მოხდა ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების „Subaru Legacy Outback" - ის ჩანაცვლება (თანხის 58,000.00 ლარის დამატებით) 2014 წელს გამოშვებული "Hyundai IX 35" ტიპის ავტომობილით, რომლის ღირებულება შეადგენდა 64,500.00 ლარს. 2015 წლის 11 მაისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით შპს „ავტო თრეიდ ინ"-მა გადასცა ხოლო უმაღლესმა საბჭომ ჩაიბარა 64,500.00 ლარის ღირებულების ავტომანქანა "Hyundai IX 35". უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის 2015 წლის 13 მაისის N 35 ბრძანების საფუძველზე იმავე დღეს მიღება-ჩაბარების აქტით შპს „ავტო თრეიდ ინ"-ს გადაეცა 6,500.00 ლარის ღირებულების ავტომობილი „Subaru Legacy Outback" და 2015 წლის 15 მაისს სახელმწიფო ხაზინიდან გადაერიცხა თანხა 58,000.00 ლარის ოდენობით.

ფაქტობრივად ზემოაღნიშნული ოპერაცია წარმოადგენდა ძირითადი აქტივის ჩანაცვლებით (ბარტერით) მიღებას და არა უსასყიდლოდ მიღებას (გადაცემას). შესაბამისად მოქმედი კანონმდებლობით[1] - ძირითადი აქტივების მიღება ბარტერით უნდა ასახულიყო მიწოდების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნის (1410) ანგარიშის კრედიტში და ძირითადი აქტივის (2100) ანგარიშის დებეტში. ამასთან, მიღებული ძირითადი აქტივის ღირებულების, გასული

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ"ინსტრუქციის მუხლი 23-ის, მე-3 პუნქტი;

ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მეტობით წარმოქმნილი ვალდებულება აღირიცხებოდა ბარტერით წარმოქმნილი ვალდებულების (3230) ანგარიშის კრედიტში და ძირითადი აქტივის ანგარიშის დებეტში ნამეტი თანხით. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივის („Subaru Legacy Outback"-ის საბალანსო ღირებულებით 10,496.00 ლარი) გასვლა ბალანსის დანართ ფორმა N5-ში შეცდომით აისახა, როგორც ძირითადი აქტივების გრანტებით გასვლა (რასაც უსასყიდლოდ გადაცემისას ექნებოდა ადგილი). ასევე, ბალანსის დანართ ფორმა N3-ში აღნიშნული თანხა - 10,496.00 ლარი არასწორად აისახა დებეტის მხარეს გრანტების ანგარიშზე. ვინაიდან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ავტომობილის ჩანაცვლება განხორციელდა საბაზრო ღირებულებით 6,500.00 ლარით, ანუ საბალანსო ღირებულებაზე (10,496.00 ლარზე) 3,966.00 ლარით ნაკლები ოდენობით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნით[2] - საბალანსო ღირებულებას და გაყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის შემთხვევაში, შემცირებული თანხა უნდა აღრიცხულიყო ძირითადი აქტივების (2100) ანგარიშების კრედიტში და მოგება/ზარალი ფლობიდან (8100) ანგარიშის დებეტში და აქედან გამომდინარე ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულებას და გაყიდვის ღირებულებას შორის სხვაობაც - 3,966.00 ლარი ბალანსის დანართ ფორმა N3-ში უნდა ასახულიყო სხვა ეკონომიკური ნაკადების სახით დებეტის მხარეს. ამდენად, ბალანსის დანართ ფორმა N3-ში დებეტის მხარეს გრანტების ანგარიშზე 10,496.00 ლარის არასწორად ასახვით წმინდა ღირებულება არსებითად შემცირდა 6,500.00 ლარით[3].

"Hyundai IX 35"-ის მიღებასთან დაკავშირებით ბალანსის დანართ ფორმა N5-ში სატრანსპორტო საშუალებების მიღება (შეძენა-შესყიდვა) ნაცვლად 64,500.00 ლარისა (6,500.00 ლარი ჩანაცვლებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულება და 58,000.00 ლარი გადახდილი თანხა) არასწორად აისახა 58,000.00 ლარის ოდენობით,[4] რის გამოც ბალანსის დანართ ფორმა N1-შიც არაფინანსური აქტივების მუხლი მანქანა-დანადგარები და ინვენტარი ასევე არასწორად იქნა წარმოდგენილი 6,500.00 ლარით ნაკლები ოდენობით.[5]

*ძირითადი კაპიტალის მოხმარება*

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმების შედარებით დადგინდა, რომ ბალანსის დანართ ფორმა N3-ში ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოდგენილი იყო 56,517.12 ლარის ოდენობით, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N2 - ში ძირითადი კაპიტალის მოხმარება შეცდომით იყო ნაჩვენები 67,013.12 ლარის ოდენობით (აღნიშნული თანხა წარმოადგენდა ფიზიკური ცვეთის 56,517.12 ლარის და ჩანაცვლებული ავტომობილის „Subaru Legacy Outback"-ის საბალანსო ღირებულების 10,496.00 ლარის ჯამს).[6] ამასთან, "Hyundai IX 35"-ის ფიზიკური ცვეთა ნაცვლად 64,500.00 ლარისა (საწყისი ღირებულება)

---

[2] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ"ინსტრუქციის მუხლი 23-ის, მე 11 პუნქტის, ბ ქვეპუნქტი;

[3] საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები;

[4] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ"ინსტრუქციის მუხლი 23-ის მე-2 პუნქტი და მუხლი 24-ის პირველი პუნქტი;

[5] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ"ინსტრუქციის მუხლი 23-ის, მე 11 პუნქტის, ბ ქვეპუნქტი; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები;

[6] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ"ინსტრუქციის მუხლი 24-ის პუნქტი 22;

დაერიცხა 58,000.00 ლარზე, შესაბამისად ძირითადი კაპიტალის მოხმარება არასწორად იქნა შემცირებული 728.00 ლარით[7], რაც თავისთავად არ გათვალისწინებულა ბალანსის დანართ ფორმა N1-ში არაფინანსური აქტივების ნაშთის შეტანისას.[8]

*სახელმწიფო შესყიდვით შეძენილი წიგნების აღრიცხვა*
ბუღალტრული დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ უმაღლესი საბჭოს მიერ 2015 წლის 28 ოქტომბრის N44 და 29 ოქტომბრის N45 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით შეძენილი იყო 8,880.00 ლარის ღირებულების 600 ერთეული ნაშრომი (წიგნები) აფხაზეთის შესახებ. ფინანსური ანგარიშგების შესწავლით და ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით დადასტურდა, რომ აღნიშნული წიგნები ბუღალტრულად აღრიცხული არ ყოფილა და არც ბალანსში იყო წარმოდგენილი ნაშთის სახით[9].

*აქტივების ზედმეტობის აღრიცხვა*
ბუღალტრული დოკუმენტაციის შესწავლით და ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ უმაღლეს საბჭოში 2015 წლის 21 იანვრის N13 ბრძანებით ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი იქნა 20 ერთეული დაუდგენელი ღირებულების აქტივის ზედმეტობა. აღნიშნული აქტივები დადგენილი წესით არ აფასებულა და აღირიცხებოდა ნულოვანი ღირებულებით.

**პირობითი მოსაზრება**

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2015 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსური ანგარიშგება, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხებისა, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის.

**სხვა მნიშვნელოვანი საკითხები**

პირობითი მოსაზრების აბზაცში წარმოდგენილი გარემოებების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

*არაფინანსური აქტივების აღრიცხვა*
უმაღლესი საბჭოს ბალანსში დანაკლისის სახით ირიცხება 1,202.00 ლარის პირველადი ღირებულების ცეცხლსასროლი იარაღი-H/K USP COMPAQT მარკის პისტოლეტი, რომელიც შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრირებულია (N 27-016831) აფხაზეთის ა/რ-ის იუსტიციის ყოფილი მინისტრის ვლადიმერ ნადარეიშვილის სახელზე. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიღებული ჰქონდა 17.12.2004 წელს დადგენილება,

---

[7] 6,500 x 11,2 % = 728

[8] საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები;

[9] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ"ინსტრუქციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტი; მე-20 მუხლის პირველი პუნქტი და 21-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

რომლის თანახმად მოკლელულიანი ცეცხლსასროლი სახელობითი იარაღის-პისტოლეტის (N27-016831) თ.ნადარეიშვილის ოჯახზე დატოვების შესაძლებლობის საკითხი განხილულიყო საქართველოს შსს სამინისტროს სათანადო დასკვნის შემდგომ. აუდიტის ჩატარების მომენტისათვის აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილი (მოგვარებული) არ იყო. (მოცემული ფაქტი ასახულია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული წინა წლის აუდიტის ანგარიშშიც). აუდიტის ჩატარების პროცესში, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გაირკვა, რომ ვ.ნადარეიშვილზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ის იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, ხოლო მის ოჯახში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამოღებულია მის სახელზე რიცხული ზემოთხსენებული იარაღი;

*სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ატვირთვის ვადის დაუცველობა*

სახელმწიფო შესყიდვების აუდიტით და აუდიტის ობიექტის მიერ დადასტურებული ინფორმაციით გამოვლინდა, რომ უმაღლესი საბჭოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების 2015 წლის წლიური გეგმა ატვირთული იქნა დადგენილ ვადაზე 5 დღით დაგვიანებით - 2014 წლის 25 ნოემბერს.[10]

*ინვენტარიზაცია*

დოკუმენტბრუნვის მასალების შესწავლით და ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ უმაღლეს საბჭოში 2015 წლის ბოლოს სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარებასთან[11] დაკავშირებით რაიმე სახის ბრძანება არ გამოცემულა, შესაბამისად არ არსებობს ინვენტარიზაციის შედარების უწყისები და აქტები, თუმცა აუდიტის ობიექტიდან მიღებული ინფორმაციით 2015 წლის დეკემბრის თვეში ჩატარდა ორგანიზაციაში არსებული აქტივების აღწერა 2015 წლის 21 იანვრის N13 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის წევრების მიერ.[12]

*შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება*

უმაღლეს საბჭოში ბრძანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 21 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა სულ 110 164.00 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 17 პირი აყვანილი იყო მთელი წლის

---

10 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი;

11 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი;

12 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ N605 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტები, და მე-7 მუხლის ე) პუნქტი, მე-8 მუხლის მე-17 და მე-18 პუნქტები;

პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ჯამში ანაზღაურებამ შეადგინა 91,320.00 ლარი.[13]

*წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა და გაცემული რეკომენდაციების შესრულება*

აღსანიშნავია, რომ რიგი ნაკლოვანებებისა (შტატგარეშე მოსამსახურეების საკითხი; უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული მოკლელულიანი ცეცხლსასროლი სახელობითი იარაღის კანონიერ მფლობელობაში მოგვარების გადაწყვეტილება), რომლებიც წარმოდგენილია აღნიშნულ პარაგრაფში, გამოვლენილი და წარდგენილი იყო უმაღლესი საბჭოსათვის აუდიტის წინა პერიოდებშიც, თუმცა უმაღლესი საბჭოს აპარატმა ვერ უზრუნველყო მათი აღმოფხვრა[14].

აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი — ბონდო გასვიანი

აუდიტორ - ასისტენტი — ეთერ კაცაძე

აუდიტორ - ასისტენტი — ნინო ბრეგვაძე

*24 თებერვალი 2016 წელი*

13„საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტი;

14"საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების მოთხოვნები.

ფორმა №1

# ორგანიზაციის

# ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ჩაბარების ვადა 20.01.2016წ.

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

| კოდი | აქტივები | ანგარიშის ნომერი | ნაშთი წლის დასაწყისისთვის | ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები | | | |
| 010 | ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში | 1110 | | |
| 020 | ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში | 1120 | | |
| 030 | მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 1210 | | |
| 040 | მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში | 1220 | | |
| 050 | სადეპოზიტო ანგარიში ბანკში | 1230 | | |
| 060 | სხვა ანგარიშები ბანკში | 1240 | | |
| 070 | ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის | 1250 | | |
| 080 | დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში | 1260 | | |
| 090 | დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში | 1270 | | |
| 100 | ხაზინის სავალუტო ანგარიში | 1280 | | |
| 110 | სხვა ანგარიშები ხაზინაში | 1290 | | |
| 120 | ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 1310 | | |
| 130 | მოკლევადიანი სესხები | 1320 | | |
| 140 | აქციები და სხვა კაპიტალი | 1330 | | |
| 150 | წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 1340 | | |
| 160 | საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები | 1351 | | |
| 170 | არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები | 1352 | | |
| 180 | დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები | 1353 | | |
| 190 | მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით | 1354 | | |
| 200 | მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით | 1355 | | |
| 210 | გადახდილი დღგ | 1356 | | |
| 220 | წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | 1357 | | |
| 230 | სხვა საგადასახადო აქტივი | 1358 | | |
| 240 | მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით | 1359 | | |
| 250 | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები | 1360 | | |
| 260 | მოთხოვნები ბარტერით | 1410 | | |
| 270 | მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ | 1420 | | |
| 280 | მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით | 1431 | | |
| 290 | მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით | 1432 | | |
| 300 | მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით | 1440 | 16639,70 | 16639,70 |
| 310 | ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები | 1450 | 0 | |
| 320 | მომუშავეების მიმართ მოთხოვნები | 1460 | | |
| 330 | მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით | 1470 | | |
| 340 | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები | 1480 | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 350 | გრძელვადიანი სესხები | 1510 | | |
| 360 | აქციები და სხვა კაპიტალი | 1520 | | |
| 370 | სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები | 1530 | | |
| 380 | სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები | 1540 | | |
| II. არაფინანსური აქტივები | | | | |
| 390 | სტრატეგიული მარაგები | 1610 | | |
| 400 | სხვა მატერიალური მარაგები | 1620 | | |
| 410 | შენობა-ნაგებობები | 2110 | 892214,31 | 877587,84 |
| 420 | მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 2120 | 189340,23 | 196833,58 |
| 430 | სხვა ძირითადი აქტივები | 2130 | | |
| 440 | დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი | 2140 | | |
| 450 | გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები | 2200 | | |
| 460 | ფასეულობები | 2300 | | |
| 470 | არაწარმოებული აქტივები | 2400 | | |
| | ბალანსი | | 1098194,24 | 1091061,12 |

| კოდი | ვალდებულებები და კაპიტალი | ანგარიშის ნომერი | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| I. ვალდებულებები | | | | |
| 480 | მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები | 3100 | | |
| 490 | მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 3210 | | |
| 500 | აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 3220 | | |
| 510 | ვალდებულებები ბარტერით | 3230 | | |
| 520 | გადასახდელი მოგების გადასახადი | 3241 | | |
| 530 | გადასახდელი დღგ | 3242 | | |
| 540 | გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 3243 | | |
| 550 | სხვა გადასახდელები | 3244 | | |
| 560 | ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით | 3245 | | |
| 570 | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები | 3246 | | |
| 580 | შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები | 3251 | | |
| 590 | შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები | 3252 | | |
| 600 | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით | 3253 | | |
| 610 | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ | 3254 | | |
| 620 | დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3255 | | |
| 630 | დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3256 | | |
| 640 | ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით | 3257 | | |
| 650 | გადასახდელი სტიპენდიები | 3258 | | |
| 660 | სოციალური დაზღვევის ანარიცხები | 3259 | | |
| 670 | ვალდებულებები დეპონენტების მიმართ | 3260 | | |
| 680 | სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3270 | | |
| 690 | სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები | 3280 | | |
| 700 | გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით | 3310 | | |
| 710 | სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდბულებები | 3320 | | |
| 720 | მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები | 3331 | | |
| 730 | აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები | 3332 | | |
| 740 | სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები | 3333 | | |
| II.კაპიტალი | | | | |
| 750 | წმინდა ღირებულება | 5100 | 1098194,24 | 1091061,12 |
| 760 | საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი | 5210 | | |
| 770 | გაუნაწილებელი მოგება | 5220 | | |
| 780 | დაუფარავი ზარალი* | 5230 | | |
| | ბალანსი | | 1098194,24 | 1091061,12 |
| III. საცნობარო მუხლები | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 790 | საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები | 01 | | |
| 800 | პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები | 02 | | |
| 810 | გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება | 03 | 7408,54 | 7408,54 |
| 820 | ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში | 04 | 3705,21 | 3148,21 |
| 830 | პირობითი მოთხოვნები | 05 | | |
| 840 | პირობითი ვალდებულებები | 06 | | |
| 850 | საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა | 07 | | |
| 860 | ამორტიზებული ძირითადი აქტივები | 08 | 26385,00 | 24663,22 |
| 870 | ვადაგადაცილებული დავალიანებები | 09 | 982,00 | 982,00 |
| 880 | ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები | 10 | 31427,78 | 37081,78 |
| 890 | განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება | 11 | | |

**ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**

ორგანიზაციის დასახელება: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო — კოდი 0101

პერიოდულობა: **წლიური**, კვარტალური — 2016 წლის 1 იანვრისთვის — ზომის ერთეული: ლარი

| სტრიქონის კოდი | ხარჯების ჩამონათვალი | კოდი | ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით | საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით - | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) | ფაქტობრივი ხარჯი | გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 010 | **1. ხარჯები** | **2** | 1718060,00 | 1846840,00 | 1834962,99 | 1834962,99 | 1834962,99 | 1901976,11 | |
| 020 | **1.1 შრომის ანაზღაურება** | **21** | 1365910,00 | 1534265,00 | 1534196,84 | 1534196,84 | 1534196,84 | 1534196,84 | |
| 030 | **1.1.1 ხელფასები** | **211** | 1365910,00 | | 1534196,84 | 1534196,84 | 1534196,84 | 1534196,84 | |
| 040 | 1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით | 2111 | 1365910,00 | | 1534196,84 | 1534196,84 | 1534196,84 | 1534196,84 | |
| 050 | 1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო | 21111 | 1260840 | | 1226814,34 | 1226814,34 | 1226814,34 | 1226814,3 | |
| 060 | 1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო | 21112 | | | | | | | |
| 070 | 1.1.1.1.3 პრემია | 21113 | 56250 | | 113390,00 | 113390,00 | 113390,00 | 113390,00 | |
| 080 | 1.1.1.1.4 დანამატი | 21114 | 0,175 | | | | | | |
| 090 | 1.1.1.1.5 ჰონორარი | 21115 | | | | | | | |
| 100 | 1.1.1.1.6 კომპენსაცია | 21116 | 48645 | | 193992,50 | 193992,50 | 193992,50 | 193992,50 | |
| 110 | 1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით | 2112 | | | | | | | |
| 120 | **1.1.2 სოციალური შენატანები** | **212** | | | | | | | |
| 130 | 1.1.2.1. ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები | 2121 | | | | | | | |
| 140 | 1.1.2.2. პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები | 2122 | | | | | | | |
| 150 | **1.2 საქონელი და მომსახურება** | **22** | 352150,00 | 307485,00 | 295682,49 | 295682,49 | 295682,49 | 295682,49 | |
| 160 | 1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | **221** | 105240,00 | | 110164,00 | 110164,00 | 110164,00 | 110164,00 | |
| 170 | 1.2.2 მივლინებები | **222** | 47000,00 | | 34889,70 | 34889,70 | 34889,70 | 34889,70 | |
| 180 | 1.2.3 ოფისის ხარჯები | **223** | 78310,00 | | 48863,37 | 48863,37 | 48863,37 | 48863,37 | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 190 | 1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები | 224 | 6000,00 | | 3237,25 | 3237,25 | 3237,25 | 3237,25 | |
| 200 | 1.2.5 კვების ხარჯები | 225 | | | | | | | |
| 210 | 1.2.6 სამედიცინო ხარჯები | 226 | | | | | | | |
| 220 | 1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | 227 | | | | | | | |
| 230 | 1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 228 | 109700,00 | | 93987,17 | 93987,17 | 93987,17 | 93987,17 | |
| 240 | 1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები | 229 | | | | | | | |
| 250 | 1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 2210 | 5900,00 | | 4541,00 | 4541,00 | 4541,00 | 4541,00 | |
| 260 | **1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება** | 23 | | | | | | 67013,12 | |
| 270 | **1.4 პროცენტი** | 24 | | | | | | | |
| 280 | **1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე** | 241 | | | | | | | |
| 290 | 1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე | 2411 | | | | | | | |
| 300 | 1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე | 2412 | | | | | | | |
| 310 | 1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე | 2413 | | | | | | | |
| 320 | 1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე | 2414 | | | | | | | |
| 330 | **1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა** | 242 | | | | | | | |
| 340 | **1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე** | 243 | | | | | | | |
| 350 | **1.5 სუბსიდიები** | 25 | | | | | | | |
| 360 | **1.6 გრანტები** | 26 | | | | | | | |
| 370 | **1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს** | 261 | | | | | | | |
| 380 | 1.6.1.1 მიმდინარე | 2611 | | | | | | | |
| 390 | 1.6.1.2 კაპიტალური | 2612 | | | | | | | |
| 400 | **1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს** | 262 | | | | | | | |
